

შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის მიმდინარე კვლევები:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტში მიმდინარე კვლევების მიზანია ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ობიექტური მიზეზების გამო არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება. კვლევითი პროექტები მოიცავს სფეროებს, რომელთა განვითარებაც ვერ ხერხდებოდა საბჭოური პერიოდის იდეოლოგიზირებული სინამდვილის პირობებში და, მოგვიანებით, პოსტსაბჭოური პერიოდის კრიზისულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში. ამდენად, პროექტები მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, კულტურულ-სააზროვნო პროცესებში არსებული ნაკლოვანებების შევსებას და, რასაკვირველია, თანამედროვე მეცნიერული სტანდარტის შესაბამისი პროდუქციის შექმნას. ამ თვალსაზრისით, ლიტერატურისმცოდნეობითი თეორიების ანალიტიკური შესწავლა და ქართულ კვლევით გარემოში ადაპტაციის ამოცანა, ასევე, მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე ლიტერატურულ-კულტურული პროცესების კვლევა შესაძლებელს გახდის განვლილ ათწლეულებში ჩვენში ნაკლებად მხარდაჭერილი სააზროვნო და შემოქმედებითი კულტურის ათვისებას, რის გარეშეც შეუძლებელია მსოფლიოს თანამედროვე კულტურულ-ინტელექტუალურ პროცესში ინტეგრირება. ხოლო პოსტკოლონიალიზმის თეორიული მიდგომებით საქართველოში გასული ორი საუკუნის კულტურულ-საზოგადოებრივი პროცესისა და ლიტერატურული პროდუქციის გადააზრება შესაძლებელს გახდის როგორც საკუთრივ ლიტერატურულ-ანალიტიკური, ასევე დეიდოლოგიზაციური ამოცანების შესრულებას, ხელს შეუწყობს საქართველოს ახალი სახელმწიფოებრივი და კულტურული რეალობის გაცნობიერებას, ამ რეალობაში შემოქმედებითი და სააზროვნო პროცესების მნიშვნელობის ზრდას.

შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტში ხორციელდება რამდენიმე გრძელვადიანი პროექტი. საერთო მეცნიერული ამოცანით, ხედვით, მიდგომებითა და მეთოდოლოგიებით გათლიანებული თითოეული პროექტი ითვალისწინებს გუნდურ და ინდივიდუალურ მუშაობას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ პუბლიკაციებს (მონოგრაფიებს, სტატიებს, ასევე, სადოქტორო და სამაგისტრო ნაშრომებს), თემატური კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებას.

შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები ამჟამად მუშაობენ კვლევით პროექტებზე, რომელთა გამოცემაც დაგეგმილია 2014 წელს:

ნინო აბაკელია. კოსმოლოგიური კონცეპტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართულ კულტურაში. ნაშრომში რიტუალის შესწავლის საფუძველზე,

ტრადიციული მოდელების მუდმივ განმეორებაში გამოვლენილი იქნება რიტუალური სიმბოლოები, რომელთა საფუძველზეც რეკონსტრუირებული იქნება ქართველთა კოსმოგონიური სისტემა.

ნინო ფირცხალავა, მითოსისა და მეტაფორის აბსოლუტური კონვერგენცია ქართული კულტურის კონტექსტში. მითის დოქტრინალური ხასიათისა და ბუნების გათვალისწინებით, კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ წინაპირობების დადგენა, თუ რატომ იძენს ესა თუ ის მითი ან მეტაფორა ცალკეულ კულტურაში აბსოლუტური პარადიგმის სახეს. ამავე კონტექსტის მხედველობაში მიღება გააიოლებს იმის გარკვევასაც, თუ რა გარემოებანი განაპირობებენ და განსაზღვრავენ სხვადასხვა კონკრეტულ კულტურაში ამა თუ იმ მითოლოგემის ისტორიულ წარმატებულობას ან სულაც წარუმატებლობას. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, თუკი დავუშვებთ, რომ მითოსში თითქმის ყოველთვის რაციონალური მომენტია ჩართული, სავსებით ბუნებრივი და გასაგები გახდება ის ფაქტი, თუ რა ფუნქციას იძენს ესა თუ ის მითი კონკრეტულად ქართული კულტურის ფარგლებში. ამავდროულად, საგულისხმო იქნებოდა სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული ტექსტების მაგალითზე ამა თუ იმ მითოლოგემის რეცეფციის ისტორიის წარმოდგენა, რაც მაგალითად, ამ კულტურაში სამყაროს მოდელირების წესის ცვალებადობის აშკარა გამოძახილად შეიძლება იყოს აღქმული.

ბელა წიფურია, ნანა ყიფიანი, ისტორიული ავანგარდი საქართველოში. ქართულ კულტურულ გამოცდილებაში ისტორიული ავანგარდის არსებობის ფაქტი სულ უფრო და უფრო დიდ ინტერესს იწვევს საქართველოშიც და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეშიც. მეორე მხრივ, ქართული ავანგარდი უფრო დეტალურ ანალიზსა და პოპულარიზაციას საჭიროებს. ტერმინი "ისტორიული ავანგარდი" (ე. წ. თანამედროვე ავანგარდის საპირისპიროდ) დღეს იხმარება დასავლური კულტურის ისტორიაში იმ ერთ-ერთი გლობალური კულტურული სტილის აღსანიშნავად, რომელიც ვრცელდებოდა მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის მრავალ ნაციონალურ კულტურაში და უმეტესად უკავშირდებოდა ე. წ. რადიკალური ავანგარდისტული დაჯგუფებების საქმიანობას. მეოცე საუკუნის დასაწყისი საქართველოში ავანგარდისტული აქტივობა ორ ეტაპად წარიმართა: 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის თბილისის მულტიკულტურული ავანგარდი და 1910-1920-იანი წლების ქართული ავანგარდი: ლიტერატურაში (ჯგუფი H2SO4), სახვით ხელოვნებაში, თეატრსა და თეატრის მხატვრობაში, კინოში. თბილისის ავანგარდი გამორჩეულია არა მარტო ქართული, არამედ რუსული კულტურის ისტორიაში (ამ თემაზე გამოცემულია ლუიჯი

მაგაროტოს, ტატიანა ნიკოლსკაიას ნაშრომები). თბილისის ავანგარდის თემაზე გამოცემულია კრებული ლ. მაგაროტოს, მ. მარცადურისა და ჯ. პეგანის რედაქტორობით, ქართული ავანგარდის თემაზე გამოცემულია ს. სიგუას ნაშრომი. თუმცა აქამდე არ გამოცემულა ისეთი ინტერდისციპლინარული ნაშრომი, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულად და დეტალურად იქნება განხილული უშუალოდ ქართულ კულტურაში ავანგარდისტული ესთეტიკით შექმნილი პროდუქცია და მიმოხილული იქნება ერთიანი კულტურული პროცესი. კრებული "ისტორიული ავანგარდი საქართველოში" შედგება შემდეგი თავებისაგან: ავანგარდი ქართულ ლიტერატურაში; ვიზუალურ ხელოვნებაში და თეატრის მხატვრობაში. კრებულში გამოქვეყნდება ვიზუალური მასალა და, დანართის სახით, ქართული ავანგარდის ცალკეული საპროგრამო ტექსტები. ნანა ყიფიანი ამზადებს თავს ვიზუალური ხელოვნების შესახებ და შეგროვილი აქვს კრებულში გამოსაქვეყნებელი ილუსტრაციები; ხოლო ბელა წიფურია - თავს ლიტერატურის შესახებ.

ბელა წიფურია, ქართული ტექსტი საბჭოთა/ პოსტსაბჭოთა/ პოსტმოდერნულ კონტექსტში. მონოგრაფიამ წარმატებით გაიარა საერთაშორისო ანონიმური რეცენზირება და მისი გამოცემა დამტკიცებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. წიგნის გამოცემა გათვალისწინებულია 2014 წელს. წიგნში განხილულია ქართული ლიტერატურის კონტექსტუალიზაციის პრობლემა ისტორიულ-იდეოლოგიური და კულტურული კონტექსტების მონაცვლეობის ფონზე, როგორებიცაა: საბჭოთა იდეოლოგიური კონტექსტი, პოსტსაბჭოთა ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, მოდერნისტული/ პოსტმოდერნისტული კონტექსტები.

გია ჯოხაძე, მარადი შუა საუკუნეები. წიგნი შეიცავს სამეცნიერო სტატიებს შუა საუკუნეთა ისტორიის კარდინალურ საკითხებზე, რომლებშიც გამოყენებულია „ახალი ისტორიის" მეთოდოლოგია: „ქართული ისტორიული დისკურსი", „ზღვა ქართულ ისტორიულ ნარატივში", „ცრემლთაღვრის ნიჭი", „სენი და სალმობა", „სიცილი შუა საუკუნეებში", „შრომა შუა საუკუნეებში", „სულიერი სივრცე" (ზასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" მიხედვით), „ქართველი იუდეველები ქართულ ისტორიულ ნარატივში", „მამაკაცური" დავით აღმაშენებლის ისტორიულ ნარატივში".

თამარ ლომიძე, ქართული რომანტიზმის პოეტიკა. ნაშრომში პირველად არის მონოგრაფიულად შესწავლილი ქართული რომანტიზმის პოეტიკა და შემოთავაზებულია თეორიული ანალიზის თვისებრივად ახალი მეთოდოლოგია. თეორიული ანალიზის საგანგებო ინსტრუმენტარიუმის საფუძველია მეოცე საუკუნის გამოჩენილი ლიტერატურისმცოდნისა და ლინგვისტის, რომან

იაკობსონის პოეტიკური კონცეფცია, რომლის საფუძველზეც გამოვლენილია ქართული რომანტიზმის სპეციფიკური თავისებურებები, როგორც ცალკეული ტროპების, ასევე – მხატვრულ ნაწარმოებთა სტრუქტურის, მოტივების, სტილისა და მსოფლალქმის დონეებზე. ნაშრომში წარმოდგენილია: ტროპების კლასიფიკაციის ახლებური მოდელი; ქართველ რომანტიკოსთა მხატვრული ქმნილებების ახლებური ანალიზი; პირველად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოკვლეულია „კარნავალურ“ მოტივთა ასახვის თავისებურებები ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში; დასაბუთებულია, რომ ცნებითი აზროვნება – გენეტიკურადაც და რომანტიკულ მწერლობაშიც – უკავშირდება მეტონიმას და არა მეტაფორას; გამოტანილია დასკვნა, რომ, ტრადიციული თვალსაზრისის საპირისპიროდ, რომანტიზმში (კერძოდ, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში) გამოხატულება ჰპოვა ალქმისა და აზროვნების „მეტონიმურმა“ პოლუსმა, რომელიც აისახა ცალკეული ტროპების, მხატვრულ ქმნილებათა სპეციფიკური კონცეფციების, მოტივებისა და მსოფლალქმის დონეებზე.

ათინათ მამაცაშვილი-კობახიძე, ყვითელი ფერი. ისტორიიდან მოვლენად ქცევამდე. (ფრანგულ ენაზე: *Le jaune. De l'histoire à l'événement*). ნაშრომში განხილულია სხვადასხვა ნაწარმოები ანტიკური ხანიდან დღემდე. კვლევის მიზანს წარმოადგენს ყვითელი ფერის კონცეპტის დადგენა, რათა განისაზღვროს, თუ რამდენად ექვემდებარება ფერი სხვადასხვა ეპოქაში გამომსახველობით ცვლილებას/განვითარებას და რამდენად შეგვიძლია ვისაუბროთ ყვითელი ფერის რეპრეზენტაციულ სტაბილურობაზე საუკუნეების განმავლობაში.

ცირა კილანავა, ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მონოგრაფიას საფუძვლად დაედება 2013 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უმაღლესი შეფასებით დაცული სადოქტორო დისერტაცია (ხელმძღვანელები: ქ. ბეზარაშვილი, ბ. წიფურია); ასევე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „კოლონიური/პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურა: კულტურულ პარადიგმათა ცვლა“ (მიმღები ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბ. წიფურია) - ფარგლებში შესრულებული სამუშაო. ნაშრომში იდენტიფიცირებული და კლასიფიცირებულია სხვადასხვა ტიპის მარკერები, რომელთა საშუალებითაც ქართულმა ლიტერატურამ, როგორც კოლექტიური მეხსიერების მედიამ, ნაციონალური იდენტობის დაცვა-შენარჩუნების

საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა. კვლევა წარმართულია შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის დარგის, იმაგოლოგიის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ნაციონალური იდენტობის კვლევების თეორიული მიდგომების გათვალისწინებით. კვლევის შედეგად გამოვლენილია როგორც უცვლელი, ისე მოდიფიცირებული თუ ორიგინალური მარკერები, რომლებიც, აქტუალიზების შედეგად, სტერეოტიპებად ჩამოყალიბდა; დადგენილია პრეკოლონიურ-კოლონიური პერიოდების ქართული ნაციონალური დისკურსის განმსაზღვრელი ლექსიკური ფონდი. დანართში, ცხრილების სახით წარმოდგენილი მასალა თვალსაჩინოს ხდის აღნიშნული პერიოდის ქართულ მწერლობაში ნაციონალური დისკურსის ფორმირების არაერთ მხატვრულ საშუალებას.

ლელა წიქარიშვილი, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა და რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. მონოგრაფიაში, რომელიც მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „კოლონიური/პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურა: კულტურულ პარადიგმათა ცვლა“ (მიმღები ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბ. წიფურია) - ფარგლებში, განხილულია მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურული პროცესები საქართველოში მომხდარი კულტურული და პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, როგორებიცაა: საქართველოს კოლონიზაცია რუსეთის იმპერიის მიერ, მოდერნული ისტორიულ-სოციალური პარადიგმის დამკვიდრება (მედიევალურის ნაცვლად), ევროპული კულტურული პარადიგმისა და კულტურულ-ესთეტიკური ტენდენციების დამკვიდრება. ნაშრომში გამოვლენილია კოლონიზაციის ეპოქის ძირითადი მახასიათებლები (პოსტკოლონიალიზმის თეორიული მიდგომების საფუძველზე): კულტურის/კულტურული ფიგურების ამბივალენტობა, კულტურის მიმიკრია, კულტურის რეზისტენტობა კოლონიზატორული დისკურსის მიმართ.